ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3861568

ნომერი: AR1581174

თარიღი : 12.03.2018

გაცემის თარიღი : 13.03.2018

გაცნობის თარიღი : 13.03.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 74/11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ფალავანდიშვილი პ/ნ 01017014926
- თბილისი ამაღლების ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ვინაიდან მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში განმარტავთ, რომ ხდება არსებული შენობის ფასადის სარემონტო სამუშაოების (გადაწყვეტილება №3841613) განხორციელება, რისთვისაც ითხოვთ დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, გაცნობებთ, რომ დროებითი სამშენებლო ღობის განთავსება უსაფრთხოების მიზნით ხდება მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის გათვალისწინებით, როდესაც ხდება ახალი მშენებლობა ან შენობის რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა არსებული შენობის შიდა სარემონტო სამუშაოების დროს მიწის ნაკვეთზე დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.